

შეთანხმებული პროცედურების
გარიგებები



ზრდისა და
ღირებულების
პერსპექტივები



International
Federation
of Accountants®



This “Agreed-Upon Procedures Engagements” of the SMP Committee published by the International Federation of Accountants in December 2017 in the English language, has been translated into Georgian by the Georgian Federation of Professional Accountants and Auditors in March, 2019, and is reproduced with the permission of IFAC. The approved text of all IFAC publications is that published by IFAC in the English language. IFAC assumes no responsibility for the accuracy and completeness of the translation or for actions that may ensue as a result thereof.

English language text of “Agreed-Upon Procedures Engagements” © 2017 by IFAC. All rights reserved.

Georgian language text of “Agreed-Upon Procedures Engagements” © 2019 by IFAC. All rights reserved.

Original title: Agreed-Upon Procedures Engagements, December 2017, ISBN: 978-1-60815-348-0.

Contact Permissions@ifac.org for permission to reproduce, store or transmit, or to make other similar uses of this document.

დოკუმენტების წინასწარი ვარიანტები, საკონსულტაციო სტატიები და სხვა IFAC პუბლიკაციები ქვეყნდება IFAC-ის მიერ და წარმოადგენს IFAC-ის საავტორო უფლებებს.

IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას იმ პირის ზარალზე, რომელიც მოქმედებს ან თავს იკავებს იმოქმედოს ამ პუბლიკაციაში მოცემული მასალის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, ეს ზარალი გამოწვეულია დაუდევრობით თუ სხვაგვარად. IFAC-ის ლოგო, "ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაცია" და "IFAC" არის IFAC-ის სავაჭრო ნიშნები და მომსახურების ნიშნები აშშ-ში და სხვა ქვეყნებში.

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) საავტორო უფლებები © 2017. ყველა უფლება დაცულია. IFAC-ის წერილობითი ნებართვა საჭიროა ამ დოკუმენტის რეპროდუცირების, შენახვის ან გადაცემის, ან სხვა მსგავსი სახით გამოყენების, შემთხვევაში. დაუკავშირდით: permissions@ifac.org.

აღნიშნული სახელმძღვანელო ითარგმნა აზიის განვითარების ბანკის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.

მთარგმნელი: ნინო ლალიძე

ექსპერტები: დავით სხილაძე
ზურაბ მამუკელაშვილი

შესავალი

შეთანხმებული პროცედურების (AUP) გარიგებები მცირე- და საშუალო-ზომის პრაქტიკებისთვის (SMPS) უზრუნველყოფს მათი ზრდისა და კლიენტებისთვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევს დიდ შესაძლებლობებს. დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტი 4400, გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე (ISRS 4400) არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ეხება შეთანხმებული პროცედურების გარიგებებს. ამ გამოცემაში ახსნილია, რა არის შეთანხმებული პროცედურების (AUP) გარიგებები, რა სარგებლობა მოაქვს კლიენტებისთვის ამგვარი მომსახურების შეთავაზებას და როდის არის ის შესაფერისი. მასში მოცემულია ფინანსურ და არა-ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების გარიგებები, პროცედურების საილუსტრაციო ექვსი კონკრეტული სიტუაცია, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, შეთანხმებული პროცედურების ანგარიშის ნიმუში და ISRS 4400-დან. ამ პუბლიკაციის ძირითად მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენენ პრაქტიკოსი ბუღალტრები, მარეგულირებლები და პოლიტიკის განმსაზღვრელები.

შეთანხმებული პროცედურების გარიგება მოიცავს პრაქტიკოს-ბუღალტერს, რომელიც ასრულებს სპეციფიკურ პროცედურებს, რომლებიც შეთანხმებულია პრაქტიკოს-ბუღალტერთან, სამეურნეო ერთეულთან და ნებისმიერ მესამე მხარესთან. ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიში მომზადებულია პრაქტიკოს-ბუღალტრის მიერ. არანაირი რწმუნება არ არის მიღებული, არც დასკვნაა გაკეთებული და არც მოსაზრებაა გამოთქმული. ანგარიში არ ვრცელდება საჯაროდ - ის გამოიყენება მხოლოდ იმ მხარეების მიერ, რომლებიც შეთანხმდნენ ამ პროცედურებზე. ამ ანგარიშის მომხმარებლებს თავად გამოაქვთ დასკვნები შესრულებული პროცედურების და ფაქტობრივად მიღებული მონაცემების მიხედვით.




მზარდი მოთხოვნა



იმის გამო, რომ დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრი, სხვადასხვა მიზეზით, იყენებს ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიშებს, შეთანხმებული პროცედურების გარიგებაზე მოთხოვნა იზრდება. ბევრი სამეურნეო ერთეულისთვის, შეთანხმებული პროცედურების გარიგების საჭიროება შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს რეგულირების ზრდით და დაფინანსებისა და გრანტების გარშემო გაზრდილი ანგარიშვალდებულების მოთხოვნით. მაგალითად, დაფინანსებელმა ორგანოებმა შეიძლება მოითხოვონ ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიში, რათა დაურთონ ისეთ ინფორმაციას, როგორცაა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ან საგრანტო განცხადება. მცირე სამეურნეო ერთეულებისთვის, ზოგიერთ იურისდიქციაში აუდიტისგან გათავისუფლების ზღვრის ზრდამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნაზე, და დაინტერესებულმა მხარეებმა მოძებნონ აუდიტის ალტერნატივა. მაგალითად, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ნაცვლად ბანკებს შეუძლიათ მოითხოვონ დებიტორული დავალიანების ან მარაგების ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიში. ამგვარი, გაცილებით დეტალური ფოკუსირებით, შეიძლება წარმოიჩინდეს საკრედიტო/სესხის ხელშეკრულებების გაცემისას საყურადღებო სფეროები.

IAASB-ის შეთანხმებული პროცედურების პროექტი

2015 წელს, აუდიტის და მარწმუნებელი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რათა შეესწავლა შეთანხმებული პროცედურების გარიგებების გამოყენება, სტანდარტებთან დაკავშირებული, კონკრეტულად კი შეთანხმებული პროცედურების გარიგებების, განვითარება, და საბაზრო მოთხოვნები. სამუშაო ჯგუფმა გამოაქვეყნა სადისკუსიო სტატია 2016 წლის ნოემბერში, **შეთანხმებული პროცედურების გარიგებებისა და სხვა მომსახურების მოთხოვნების შესწავლა, ასევე IAASB-ის საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობა**. 2017 წლის სექტემბერში, უკუკავშირის განხილვების შედეგად, IAASB-მ დაამტკიცა სტანდარტების-დადგენის შეთავაზებული პროექტი ISRS 4400-ის განახლების თაობაზე. ISRS 4400-ის დღევანდელი ვერსია ძალაში დარჩება, სანამ IAASB არ გამოსცემს განახლებულ სტანდარტს, შესაბამისი ახალი ვადით.



შეთანხმებული პროცედურების გამოყენება და მათი პრივილეგიები

- შეთანხმებული პროცედურების გარიგებები მოქნილია, რადგან შესაძლებელია ამ მომსახურების სხვადასხვა გარემოებებზე და ფინანსური მონაცემების ცალკეულ/ინდივიდუალურ მუხლებზე მორგება. მაგალითად, ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს მტკიცებულება, რომ გათვალისწინებულია მოქმედი სტანდარტებით მოთხოვნილი გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროება ან შეძენისას მოითხოვოს სათანადო შემოწმების ანგარიში.
- მომხმარებლებს შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული სამუშაოს შესრულება, დაფინანსების ან მომწოდებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, მარაგის ნაშთის სისწორის დადასტურება, კრედიტორული დავალიანების ნაშთების დადასტურება, ფულადი ნაკადების ნაშთის შემოწმება, ან საგრანტო თანხების სათანადო გამოყენება. გარე მომხმარებლებს შეუძლიათ ასევე მოითხოვონ ანგარიშის წარდგენა კონკრეტულ/სპეციფიკურ ფორმატში.
- ფაქტობრივად მიღებულ მონაცემებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფინანსური ანგარიშგების პროცესების და კონტროლის ეფექტურად ფუნქციონირება. მაგალითად, საჯარო სექტორის ორგანიზაციამ შეიძლება მოითხოვოს შეთანხმებული პროცედურების გარიგება, მარეგულირებელ რეჟიმთან დაკავშირებულ დირექტივებთან შესაბამისობის შესახებ ანგარიშისთვის.
- ფაქტობრივად მიღებული მონაცემების ანგარიში, მეტი სანდოობისთვის და კომფორტისთვის, შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ფინანსური ანგარიშგების დანართი.


დაგეგმარება და პროცედურები

პრაქტიკოს-ბუღალტერმა უნდა დაგეგმოს მუშაობა ისე, რომ განახორციელოს ეფექტური გარიგება და შეთანხმებული პროცედურები. მიღებული მტკიცებულებები გამოყენებული იქნება როგორც ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიშის საფუძველი. პროცედურები შეიძლება მოიცავდეს: გამოძიებას/მოკვლევას და ანალიზს, ხელახალ გამოთვლებს, შედარებას, სიზუსტის შემოწმებას, დაკვირვებას, ინსპექტირებას და დადასტურების მოპოვებას.



დამოუკიდებლობის როლი შეთანხმებულ პროცედურების გარიგებებში

ISRS 4400-ის თანახმად, პრაქტიკოს-ბუღალტერი უნდა აკმაყოფილებდეს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსს.



დამოუკიდებლობა არ არის შეთანხმებული პროცედურების გარიგებების მოთხოვნა. თუმცა, გარიგების პირობები ან მიზნები, ან ეროვნული სტანდარტები, შეიძლება ითხოვდნენ, აუდიტორმა შეასრულოს IESBA-ს კოდექსის დამოუკიდებლობის მოთხოვნები. თუ პრაქტიკოს-ბუღალტერი დამოუკიდებელი არ არის, ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება მოხდება ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიშში.

შეთანხმებული პროცედურების გარიგებები ფინანსურ და არა-ფინანსურ ინფორმაციაზე

ISRS 4400 არეგულირებს ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ გარიგებებს. მიუხედავად ამისა, მასში შეიძლება იყოს სასარგებლო მითითებები არა-ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ გარიგებებზეც.

საერთაშორისო მასშტაბით, შეთანხმებული პროცედურების გარიგებები ჩვეულებრივ სრულდება როგორც ფინანსურ, ასევე არა-ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიზნებისთვის, რეგულირებიდან ან მოთხოვნიდან გამომდინარე. ამის მაგალითებია შემდეგი ანგარიშები:

რეგულაციების საფუძველზე

- წინა პერიოდების კონკრეტული ფინანსური ინფორმაცია მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროექტზე ან ტენდერზე
- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები
- სხვადასხვა ფინანსური ანგარიშგების ჩარჩოებს შორის შეჯერება/შედარება
- გასანაწილებელი გაუნაწილებელი მოგების გაანგარიშებები
- კოტირებული კომპანიების შედეგების განცხადებები და ანგარიშგებები, რომელიც გამოქვეყნებულია ლისტინგის ცირკულარებში და პროსპექტებში

მოთხოვნის საფუძველზე

- ბიზნესის ან მისი ნაწილის შეძენისას, გაყიდვის ან შერწყმის დროს სათანადო შემოწმება;
- შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით სხვა მხარისთვის გადასახდელი ქირის / გადასახდელი საკომისიოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შედარება მიღებულ შემოსავლებთან ან ბრუნვის სერთიფიკატებთან
- შიდა კონტროლი ფინანსურ ანგარიშგებაზე ან კორპორაციული მართვის მოთხოვნებზე
- საბანკო სესხის შეთანხმებები
- მარაგის ნაშთი და მარაგის შემოწმების პროცესები
- შემოსავლები და დებიტორული დავალიანების ანგარიშების ნაშთები
- სათბურის გაზის გამოყოფა
- როიალტის ხელშეკრულებები



შეთანხმებული პროცედურების გარიგებების ნიმუშები

ეს მაგალითები არ არის ამომწურავი. ისინი მოცემულია, რომ აჩვენოს სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული შეთანხმებული პროცედურების განსხვავებული გარიგებები. შეთანხმებული პროცედურები მოცემულია ზოგადად, შეთანხმებული პროცედურების გარიგებებში შესაძლო პროცედურების საილუსტრაციოდ.



კონკრეტული სიტუაცია 1

სახელმწიფო გრანტი

არა-კომერციული ორგანიზაცია ატარებს პარკინსონის დაავადების, კიბოს, თირკმლის დაავადების და სხვა მრავალი დაავადების კლინიკურ კვლევებს. მათი კვლევითი საქმიანობა მოიცავს 234 სახელმწიფო კვლევით პროექტს, 52 საერთაშორისო კვლევით პროექტს და 747 კლინიკურ კვლევას. კვლევაში 600-ზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მონაწილეობდა.

სამთავრობო რეგულაციებით დადგენილია, რომ სახელმწიფო გრანტები უნდა დაექვემდებაროს შეთანხმებული პროცედურების გარიგებას, რათა უზრუნველყოს კვლევითი პროექტების დაფინანსების რამდენიმე პირობისა და მოთხოვნების შესრულება.

გრანტის მიმღები ორგანიზაციის შეთანხმებული პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- გრანტის შესახებ ზოგადი პირობების განხილვას და გაგებას.
- წარმოდგენილი ხარჯების გრაფიკის შედარებას კვლევით პროექტზე გაწეული ხარჯების თანხლებ დოკუმენტებთან, შემოწმებას, არის თუ არა ის ნებადართული, ორგანიზაციის საავტორიზაციო გრაფიკის შესაბამისად, აღრიცხული და კლასიფიცირებული საბუღალტრო სისტემაში გრანტის პირობების შესაბამისად, და გადახდების შემოწმებას.
- შემოწმებას, რომ ორგანიზაციამ შეასრულა ზოგადი პროცედურები საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადებისას.
- ინდივიდუალური ტაბელები უნდა შეესაბამებოდეს თანამშრომლების მიერ საგრანტო პროექტებზე დახარჯულ დროს.
- მოძიებას, მიღებული აქვს თუ არა ორგანიზაციას იმავე პროექტისთვის სხვა გრანტები.

კონკრეტული სიტუაცია 2

არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ პროექტის განმახორციელებელ პარტნიორს გრანტით გადასცა 650 000 ლარი. განმახორციელებელი პარტნიორის ფინანსური წლის ბოლო იყო 20X1 წლის დეკემბერი და ფინანსური ანგარიშგების აუდიტი დასრულდა 20X2 წლის მარტს. საკმარისი სათანადო აუდიტორული მტკიცებულებები იქნა აღმოჩენილი, რომ 645 000 ლარი გამოყენებული იყო სათანადოდ და პროექტის გეგმის შესაბამისად. გამოქვეყნდა აუდიტორის დადებითი მოსაზრების ანგარიში.

დარჩენილი 5 000 ლარი გადახდილი უნდა ყოფილიყო ანგარიშისთვის, რომელიც გაკეთდებოდა ფინანსური ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გამოქვეყნებისა და პროექტის დასრულების შემდეგ. შეთანხმებული პროცედურების გარიგებით პრაქტიკოს-ბუღალტერს მიეცა ინსტრუქციები შემოწმებისა მტკიცებულება, რომ იგი გამოყენებული იყო მხოლოდ პროექტის ანგარიშის მომზადებისა და რედაქტირებისთვის.



შეთანხმებული პროცედურების გარიგებების ნიმუშები



კონკრეტული სიტუაცია 3

ფინანსური ინფორმაცია

აუდიტის ქვედა ზღვრების ზრდასთან ერთად, შპს ეიბისის უკვე აღარ სჭირდება თავისი ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტის ჩატარება. ჩატარდა შეთანხმებული პროცედურების გარიგება, რომელიც ფოკუსირებული იყო ფინანსური ინფორმაციის კონკრეტულ მუხლებზე.

შეთანხმებული პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- ხელმძღვანელობის გამოკითხვას და მარაგის სისტემის ანალიზს, იმაში დასარწმუნებლად, რომ კომპანიაში არ არის წინასწარ დადგენილ ოდენობაზე მეტი მარაგი, რომელიც 90 დღეზე მეტის იქნებოდა 20XX წლის 31 დეკემბერს (მარაგის მოძველება/ცვეთა).
- მარაგის სისტემაში მოცემული მარაგის თვითღირებულების ფასის შედარებას უახლესი შესყიდვის ინვოისთან (მარაგის სიზუსტე).
- 20XX წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ყველა დებიტორული დავალიანების ნაშთის გადამოწმებას, რომ გადაუხდელი თანხა მიღებულ იქნა, და მთავარ წიგნში მოცემული თანხები ედრება სალაროს შემოსავლებს, (დებიტორული დავალიანების ამოღების უნარი).
- გამოცხადებული შემოსავლების შემოწმებას: აიღეთ 20XY წლის პირველი ხუთი შემოსავლის ორდერი და 20XX წლის ბოლო ხუთი შემოსავლის ორდერი, და შეამოწმეთ, რომ ისინი ზუსტად არის განაწილებული (შემოსავლების დროში გამიჯნა).



კონკრეტული სიტუაცია 4

ხელმძღვანელობის/მართვის ფინანსური და არა-ფინანსური ამოცანები

ყოველ ფინანსურ წელს შპს იქსუაიზეტში, აქციონერები და ხელმძღვანელობა ხელს აწერენ საქმიანობის შედეგების პაკეტს, რომელშიც დასახულია ფინანსური და არა-ფინანსური ამოცანები. ყოველკვარტალურად, ხელმძღვანელობა ახორციელებს თვითშეფასებას დასახული ამოცანების მიხედვით და წარუდგენს დირექტორთა საბჭოს ანგარიშს, განსახილველად და დასამტკიცებლად. ყოველი წლის ბოლოს, აქციონერები ნიშნავენ პრაქტიკოს-ბუღალტერს და ხელს აწერენ ორ გარიგების წერილს: ერთს - აუდიტისთვის, და მეორეს, კონკრეტულად, საქმიანობის შედეგების პაკეტთან დაკავშირებით შეთანხმებული პროცედურების გარიგებისთვის, სადაც კეთდება ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიში.

შეთანხმებული პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- ძირითადი წყაროებში გამოყენებული მონაცემების ამოღების პროცესის განხილვას ხელმძღვანელობასთან და ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიშში განხილვის შედეგების დოკუმენტურად შეტანას.
- საქმიანობის შედეგების პაკეტში გამოყენებული მონაცემების შეჯერებას ძირითად ფინანსურ და არა-ფინანსურ მონაცემებთან.
- საქმიანობის შედეგების პაკეტში გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის მათემატიკური სიზუსტის შემოწმებას.
- საქმიანობის შედეგების პაკეტში შეტანილი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPIs) ანალიზი ხელმძღვანელობის მიერ სტრატეგიულ გეგმაში დასახულ ამოცანებთან მიმართებაში.
- ხელმძღვანელობიდან ცნობების მოპოვებას, საქმიანობის შედეგების პაკეტში ყველა მტკიცების შესახებ.

შეთანხმებული პროცედურების გარიგებების ნიმუშები



კონკრეტული სიტუაცია 5

სესხის ხელშეკრულების პირობები

შპს სიბიეის აქვს სესხის ხელშეკრულება ბანკთან კონსორციუმთან. სესხის ხელშეკრულების თანახმად, გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია კონკრეტული ფინანსური შეთანხმებების შედეგებზე. თითოეული ფინანსური შეთანხმების დეტალური განმარტება აღწერილია სესხის ხელშეკრულებაში და გამომდინარეობს შპს სიბიეის ფინანსური ანგარიშგებიდან. სესხის ხელშეკრულება ასევე საჭიროებს შეთანხმებული პროცედურების გარიგების ჩატარებას ფინანსური შეთანხმებების ხარჯთაღრიცხვის/კალკულაციის შესახებ ანგარიშის შესადგენად.

შეთანხმებული პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- ფინანსური შეთანხმებების ხარჯთაღრიცხვაში/კალკულაციაში გამოყენებული მონაცემების შეჯერებას საწარმოს მთავარ წიგნთან.
- ფინანსური შეთანხმებების ხარჯთაღრიცხვის/კალკულაციის მათემატიკური სიზუსტის შემოწმებას.
- დადასტურებას, რომ კალკულაცია შეესაბამება სესხის ხელშეკრულებაში მითითებული ფინანსური შეთანხმებების განმარტებებს.



კონკრეტული სიტუაცია 6

სათანადო წინდახედულობა/ზრუნვა

შპს ელემოუ არის საავტომობილო ნაწილების მწარმოებელი კომპანია. იგი გეგმავს შეისყიდოს იმავე სექტორში მოქმედი უცხოური კომპანია. უცხოური კომპანია ამზადებს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, მაგრამ შპს ელემოუ ქირაობს საბუღალტრო ფირმას, რათა მან განახორციელოს შეთანხმებული პროცედურების გარიგება, კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად, რომელიც მნიშვნელოვანია ბიზნესის მომავალი განვითარებისთვის.


შეთანხმებული პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 10 უმსხვილესი კლიენტიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ცნობების მოძიებას, მათ შორის, თითოეულის პროცენტული თანაფარდობა საერთო შემოსავლებთან.
- თითოეულ ძირითად კლიენტზე მიყიდული ხუთი პროდუქტის შესახებ ცნობების მოძიებას, იმ მანქანის მოდელის დადგენას, რომელიც იყენებდა ამ პროდუქტს.
- მომდევნო ორი წლის განმავლობაში დადასტურებული შეკვეთების შესახებ ცნობების მოძიებას, პროდუქტისა და მანქანის მოდელის დადგენას.
- ბოლო 24 თვის განმავლობაში შეძენილი ფოლადის ფასის შესახებ ცნობების მოძიებას, რომელიც გამოყენებული იყო მარაგის შეფასებაში.
- ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული საერთო მოგების კალკულაციის შედარებას (შემოსავლების, გაუთვალისწინებელი/ერთჯერადი მოგების ან ზარალის, შესყიდვის ღირებულების ვარიაციების და წარმოების ცვლილებების გათვალისწინებით) საწარმოს შიგნით შედგენილ სისტემის ანგარიშთან.

ანგარიშგება

ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიშში აღწერილია გარიგების მიზანი და შეთანხმებული პროცედურები ისე, რომ მკითხველს შეუძლია გაიგოს შესრულებული სამუშაოს ხასიათი და მოცულობა. სხვა მოთხოვნებთან ერთად ეს უნდა შეიცავდეს შემდეგს:

- კონკრეტული ფინანსური ან არა-ფინანსური ინფორმაციის იდენტიფიცირება, რომელზედაც გავრცელდა შეთანხმებული პროცედურები.
- განცხადება, რომ შესრულებული პროცედურები შეთანხმებული იყო მიმღებთან.
- იმ მიზნის იდენტიფიცირება, რისთვისაც შესრულდა შეთანხმებული პროცედურები.
- შესრულებული კონკრეტული პროცედურების ჩამონათვალი.
- ფაქტობრივად მიღებული მონაცემების, მათ შორის, აღმოჩენილი შეცდომებისა და გამონაკლისების საფუძვლიანი აღწერა.
- განცხადება, რომ შესრულებული პროცედურები არ წარმოადგენს არც აუდიტს და არც მიმოხილვას და, როგორც ასეთი, არ არის გამოხატული რწმუნება.
- განცხადება, რომ თუ აუდიტორი შეასრულებდა დამატებით პროცედურებს, აუდიტს, ან მიმოხილვას, სხვა საკითხები შეიძლება გამოკვეთილიყო, რომელიც შეტანილი იქნებოდა ანგარიშში.
- განცხადება, რომ ანგარიში გათვლილია მხოლოდ იმ მხარეებისთვის, რომლებიც შეთანხმდნენ ამ პროცედურების ჩატარებაზე.
- განცხადება (საჭიროებისამებრ), რომ ანგარიში ეხება მხოლოდ კონკრეტულ ელემენტებს, ანგარიშებს, მუხლებს, ან ფინანსურ და არა-ფინანსურ ინფორმაციას, და არ ვრცელდება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.



კრედიტორული დავალიანების ანგარიშთან დაკავშირებით ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ ანგარიშის ილუსტრაცია



ანგარიში ფაქტობრივად მიღებული მონაცემების შესახებ
(მათთვის, ვინც დაიქირავა აუდიტორი)

ჩვენ შევასრულეთ თქვენთან შეთანხმებული პროცედურები (ჩამოთვლილია ქვემოთ) ეიბისი კომპანიის (ამა და ამ თარიღის) კრედიტორული დავალიანების ანგარიშთან დაკავშირებით, როგორც მოცემულია თანდართულ გრაფიკში (ამ მაგალითში არ არის ნაჩვენები). ჩვენი გარიგება განხორციელდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტების ან პრაქტიკის შესაბამისად), რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების გარიგებასთან მიმართებაში. პროცედურები შესრულდა მხოლოდ იმისთვის, რომ დაგეხმაროთ კრედიტორული დავალიანების ანგარიშების სიზუსტის/სისწორის შეფასებაში, და შეჯამებულია შემდეგნაირად:

1. ჩვენ მივიღეთ და შევამოწმეთ ეიბისი კომპანიის მიერ მომზადებული (ამა და ამ თარიღის) კრედიტორული დავალიანების ანგარიშების საცდელი ბალანსის ნამატი (თანხა), და ჩვენ შევადარეთ მთლიანი ჯამი მთავარი წიგნის შესაბამის ანგარიშში მოცემულ ნაშთს.
2. ჩვენ შევადარეთ ძირითად მომწოდებელთა თანდართული სია (ამ მაგალითში არ არის ნაჩვენები) და ამ მომწოდებელთა (ამა და ამ თარიღის) დავალიანების თანხები და საცდელ ბალანსში მოცემული თანხები.
3. ჩვენ მივიღეთ მომწოდებელთა უწყისები, ან ვთხოვეთ მომწოდებლებს, დაედასტურებინათ (ამა და ამ თარიღის) დავალიანების თანხები/ნაშთები.
4. ჩვენ შევადარეთ ეს უწყისები ან მიღებული დადასტურება 2-ში მითითებული თანხებს. იმ თანხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ედრებოდა ერთმანეთს, ჩვენ მივიღეთ შედარების უწყისები ეიბისი კომპანიიდან. მიღებული შედარების უწყისისთვის, ჩვენ დავადგინეთ და შევადგინეთ გადაუხდელი ინვოისების, საკრედიტო ბარათების და გადაუხდელი ქვითრების ჩამონათვალი, რომელთაგან თითოეული იყო xxx-ზე მეტი. ჩვენ აღმოვაჩინეთ და შევისწავლეთ ასეთი ინვოისები და მოგვიანებით მიღებული საკრედიტო ბარათები და შემდგომში გადახდილი ქვითრები, და ჩვენ დავადგინეთ, რომ ისინი რეალურად შეტანილი უნდა ყოფილიყო შედარების უწყისში როგორც გადაუხდელი თანხები.

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიში მიღებული/მოპოვებული მონაცემების შესახებ:

- (ა) 1-ლ პუნქტთან მიმართებაში, საცდელი ბალანსის ნამატი თანხა სწორია და მთლიანი ჯამიც ედრება.
- (ბ) მე-2 პუნქტთან დაკავშირებით, შესადარისი თანხები ემთხვევა/ედრება.
- (ც) მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, ყველა ასეთ მომწოდებელზე იყო მომწოდებელთა უწყისები.
- (დ) მე-4 პუნქტთან მიმართებით, თანხები ედრება/ემთხვევა, და იმ თანხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ემთხვეოდა/ედრებოდა, ეიბისი კომპანიას მომზადებული ჰქონდა შედარების უწყისები და რომ xxx-ზე მეტი თანხის საკრედიტო ბარათები, ინვოისები და გადაუხდელი ქვითრები სათანადოდ იყო ჩამოთვლილი როგორც შესადარისი მუხლები. იყო შემდეგი გამონაკლისები:
(გამონაკლისის დეტალური აღწერა)

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული პროცედურები არ წარმოადგენს არც აუდიტს და არც მიმოხილვას, რომელიც შესრულებული იქნებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების (ან შესაბამისი ეროვნული სტანდარტების ან პრაქტიკის) შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებას/გარანტიას (ამა და ამ თარიღის) კრედიტორული დავალიანების ანგარიშთან დაკავშირებით).

რომ ჩაგვეტარებინა დამატებითი პროცედურები ან ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტების (ან ეროვნული სტანდარტების ან პრაქტიკის) შესაბამისად, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებდით სხვა საკითხებზეც, რომლებზეც წარმოვადგენდით ანგარიშს.

ჩვენი ანგარიში გათვალისწინებულია მხოლოდ ამ ანგარიშის პირველ პარაგრაფში მითითებული მიზნისთვის და განკუთვნილია თქვენთვის, და ის არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მიზნებისთვის და არც უნდა გადაეცეს სხვა მხარეს. ეს ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებსა და კონკრეტულ მუხლებს და არ ვრცელდება ეიბისი კომპანიის ნებისმიერ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

თარიღი

მისამართი

IFAC მხარს უჭერს მცირე და საშუალო ზომის პრაქტიკების (SMP) სექტორს მთელი რიგი ინიციატივების მეშვეობით, რათა გლობალურად წამოსწიოს SMP-ის პროფილი და გაზარდოს მისი შესაძლებლობები. SMP-ის კომიტეტის წვლილისა და მითითებების საფუძველზე, IFAC წარმოადგენს SMP-ის ინტერესებს სტანდარტის შემქმნელებთან და მარეგულირებლებთან, ხელს უწყობს ინსტრუმენტების/მეთოდების და რესურსების გაზიარებას, რათა მათ კონკურენცია გასწიონ გლობალურ ბაზარზე და ღიად გამოთქვამს მოსაზრებებს, რათა აამაღლოს მათი როლისა და ღირებულების ცნობიერება, განსაკუთრებით მცირე- და საშუალო-ზომის საწარმოების (SMEs) მხარდასაჭერად.

IFAC Global Knowledge Gateway-ზე ახლა განთავსებულია 500-ზე მეტი სტატია და ვიდეო, და დაახლოებით 10,000 დაკავშირებული რესურსების ლინქი და მსოფლიოს გარშემო არსებული სიახლეები. დარეგისტრირდით *The Latest*-ზე, ეს არის ჩვენი Gateway დაიჯესტი, რომელიც თვეში ორჯერ გამოდის.



არსებობს არაერთი არა-აუდიტორული მომსახურება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, მათ შორისაა მიმოხილვა, კომპილაცია, სხვა რწმუნება/გარანტია და გარიგებები შეთანხმებული პროცედურების შესრულებაზე. მომსახურების არჩევანი დამოკიდებული იქნება თითოეული ინდივიდუალური საწარმოს გარემოებებზე და მოითხოვს დეტალურ განხილვას. IFAC გამოსცემს ცალკე ბროშურას, რომელიც განკუთვნილია SMP-ებისთვის, რომელიც განმარტავს და განასხვავებს ფინანსური ანგარიშგების მომსახურების სპექტრს, რომელიც SMP-ებს შეუძლია უზრუნველყონ და მოარგონ მცირე და საშუალო საწარმოების კლიენტთა საჭიროებებს: შესაფერისი მომსახურების შერჩევა: აუდიტის, მიმოხილვის, კომპილაციის და შეთანხმებული პროცედურების მომსახურების შედარება.

For more information about IFAC, please contact:

Christopher Arnold
 Head of SME/SMP and Research
 T +1 212 286 9344
www.ifac.org

FOLLOW US!



twitter.com/IFAC_smp



facebook.com/InternationalFederationOfAccountants



linkedin.com/company/ifacsmpcommunity



instagram.com/ifacpresident



International Federation of Accountants®